

# საქართველოს მთავრობის

დადგენილება №326

2010 წლის 20 ოქტომბერი

ქ. თბილისი

## სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემისას საჯარო აუქციონის ჩატარების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

*საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის დადგენილება №12 - ვებგვერდი, 24.01.2012წ.*

### მუხლი 1

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული დებულება სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემისას საჯარო აუქციონის ჩატარების შესახებ.

*საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის დადგენილება №12 - ვებგვერდი, 24.01.2012წ.*

### მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს მთავრობის 2005 წლის 3 დეკემბრის №218 დადგენილება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემისას აუქციონის ჩატარების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“.

### მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2010 წლის 10 აგვისტოდან.

პრემიერ-მინისტრი

ნ. გილაური

### შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის დადგენილება №12 - ვებგვერდი, 24.01.2012წ.
2. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის დადგენილება №382 - ვებგვერდი, 17.09.2012წ.
3. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №335 – ვებგვერდი, 16.12.2013წ.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემისას საჯარო აუქციონის ჩატარების შესახებ

*საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის დადგენილება №12 - ვებგვერდი, 24.01.2012წ.*

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემისას საჯარო აუქციონის ჩატარების შესახებ დებულება (შემდგომში – დებულება) შემუშავებულია „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და განსაზღვრავს სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემისას საჯარო აუქციონის ჩატარების წესსა და პირობებს.

2. სახელმწიფო ქონების საჯარო აუქციონის ფორმით სარგებლობაში გადაცემა ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ დებულების შესაბამისად.

3. სახელმწიფო ქონების საჯარო აუქციონის ფორმით სარგებლობაში გადაცემა შეიძლება განხორციელდეს ვადით და სასყიდლით. სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. სახელმწიფო ქონების საწყის სარგებლობაში გადაცემის საფასურს განსაზღვრავს სარგებლობის უფლებით გამცემი ორგანო.

4. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები, სახელმწიფო ქონების საჯარო აუქციონის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ინფორმაციას, გადაცემიდან 1 თვეში, წარუდგენენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში – ქონების სააგენტო).

5. სახელმწიფო ქონების საჯარო აუქციონის ფორმით სარგებლობაში გადაცემის მიზანია, სარგებლობის უფლება მიანიჭოს საჯარო აუქციონში მონაწილე იმ პირს, რომელიც ვაჭრობის პროცესში სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გამცემ ორგანოს ყველაზე მაღალ სარგებლობაში გადაცემის საფასურს შესთავაზებს, ხოლო თუ საჯარო აუქციონი გამოცხადდება პირობებით – სარგებლობის უფლება მიანიჭოს საჯარო აუქციონში მონაწილე იმ პირს, რომელიც აიღებს ვალდებულებას, დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები და ვაჭრობის პროცესში სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გამცემს ყველაზე მაღალ სარგებლობაში გადაცემის საფასურს შესთავაზებს.

6. საჯარო აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების სარგებლობაში მიმღები შეიძლება იყოს ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირი. ფიზიკურ პირს ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს სახელმწიფო ქონებას სასყიდლით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის ფორმებით, საჯარო აუქციონის საფუძველზე, ქონების სააგენტოს თანხმობით გადასცემს ის სახელმწიფო ორგანო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ეს ქონება სარგებლობაში აქვს გადაცემული. თუ სახელმწიფო ქონება არ არის სარგებლობაში გადაცემული, მას ფიზიკურ ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს სარგებლობაში გადასცემს ქონების სააგენტო.

7. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ქონებას სარგებლობაში გადასცემს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მან ეს საკითხი აგრეთვე უნდა შეუთანხმოს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს.

*საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის დადგენილება №12 - ვებგვერდი, 24.01.2012წ.*

*საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის დადგენილება №382 - ვებგვერდი, 17.09.2012წ.*

*საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №335 – ვებგვერდი, 16.12.2013წ.*

## **მუხლი 2. საჯარო აუქციონის ორგანიზება**

1. საჯარო აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გამცემი ორგანო განსაზღვრავს საჯარო აუქციონის ფორმით სარგებლობაში გადასაცემი სახელმწიფო ქონების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების ვადებს, რომელიც არ უნდა იყოს საჯარო აუქციონის ჩატარების თარიღამდე 10 კალენდარულ დღეზე ნაკლები და 30 კალენდარულ დღეზე მეტი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) განაცხადის მიღების დაწყების, დამთავრებისა და საჯარო აუქციონის ჩატარების დროსა და ადგილს;

ბ) საჯარო აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გამცემი ორგანოს დასახელებასა და მისამართს;

გ) სახელმწიფო ქონების დასახელებას, ადგილმდებარეობასა და ფართობს;

დ) პირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმებს;

ე) საჯარო აუქციონის ფორმით სარგებლობაში გადასაცემი სახელმწიფო ქონების საწყის სარგებლობაში გადაცემის საფასურს;

ვ) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობას, რომელიც უნდა შეადგენდეს სახელმწიფო ქონების საწყის სარგებლობაში გადაცემის 3 თვის საფასურს, ხოლო 3 თვეზე ნაკლები ვადით გამოცხადებული აუქციონის შემთხვევაში, საწყისი

სარგებლობაში გადაცემის საფასურის 30%-ს. წარსადგენი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 1 კვირით უნდა აღემატებოდეს სარგებლობაში გადაცემის ვადას;

ზ) ბიჯის სიდიდეს;

თ) ყველა სხვა ინფორმაციას, რომელსაც სარგებლობის უფლებით გამცემი ორგანო ჩათვლის მიზანშეწონილად.

2<sup>1</sup>. სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გადამცემი ორგანო უფლებამოსილია, სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით დაინტერესებულ პირს, სახელმწიფო ქონების აუქციონზე გატანის მიზნით, მოსთხოვოს ამ ქონების საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასურის 10%-ის ოდენობის საგარანტიო თანხა, რომლის წარდგენაც შეიძლება განხორციელდეს საბანკო გარანტიის ან/და უნაღლო ანგარიშსწორების ფორმით. ამ მუხლით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 10 დღით უნდა აღემატებოდეს აუქციონის ჩატარების თარიღს.

2<sup>2</sup>. თუ ამ მუხლის 2<sup>1</sup> პუნქტით განსაზღვრული საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 1 კვირით აღემატება სარგებლობაში გადაცემის ვადას, მაშინ შეიძლება მისი გამოყენება (სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით მიღებისათვის დაინტერესებული პირის თანხმობით) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიზნებისათვის, მას შემდეგ, რაც პირი განცხადებას შეიტანს აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.

3. საჯარო აუქციონში მონაწილეობის მსურველ პირს უფლება აქვს მიიღოს სარგებლობის უფლებით გადასაცემი სახელმწიფო ქონების შესახებ სარგებლობის უფლებით გადამცემი ორგანოს ხელთ არსებული, კანონმდებლობით დაშვებული ნებისმიერი ინფორმაცია.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს სარგებლობის უფლებით გადასაცემ სახელმწიფო ქონებას.

*საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის დადგენილება №12 - ვებგვერდი, 24.01.2012წ.*

*საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის დადგენილება №382 - ვებგვერდი, 17.09.2012წ.*

### **მუხლი 3. საჯარო აუქციონში მონაწილეობის პირობები**

1. საჯარო აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი პირი საჯარო აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა) განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეობის მიღების მსურველი პირის შესახებ, იმ სახელმწიფო ქონების დასახელებას, ლოტის ნომერს, საწყის სარგებლობაში გადაცემის საფასურს, რომლის სარგებლობის უფლებით მიღებაც სურს მონაწილეს. განაცხადში უნდა აისახოს მონაწილეობის მიღების მსურველი პირის თანხმობა პირობების შესრულების შესახებ;

ბ) ბეს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს (ბეს გადახდას უთანაბრდება ასევე მონაწილის საბანკო ანგარიშზე არსებული თანხის გაყინვა, რომელიც საჯარო აუქციონის განმახორციელებელ ორგანოს გადაერიცხება მონაწილის საჯარო აუქციონში გამარჯვებისთანავე ან „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესისა და პირობების დარღვევისას (საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ქონების სააგენტოსათვის გადასახდელი თანხის გამოკლებით, ქონების სააგენტოს მიერ ჩატარებული აუქციონისას), ან უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარდგენის დამადასტურებელ დოკუმენტს;

გ) (ამოღებულია – 18.01.2012, №12);

დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ხოლო ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში – აგრეთვე ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

ე) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);

ვ) სანოტარო წესით დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ზ) ყველა სხვა დოკუმენტაციას, რომელსაც სარგებლობის უფლებით გამცემი ორგანო ჩათვლის მიზანშეწონილად.

2. პირმა, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა ლოტებად გამოტანილი სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით მიღების მიზნით მოწყობილ საჯარო აუქციონში, თითოეული ლოტისათვის ცალ-ცალკე უნდა წარადგინოს უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია/ზე.

3. პირი, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა ლოტებად გამოტანილი სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით მიღების მიზნით მოწყობილ საჯარო აუქციონში, ვალდებულია მონაწილის ბილეთის ფასი გადაიხადოს თითოეული ლოტისათვის ცალ-ცალკე.

4. თუ ყველა წარდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რეგისტრატორი პირის შესახებ აკეთებს შესაბამის ჩანაწერს „საჯარო აუქციონის მონაწილეთა რეგისტრაციის ჟურნალში“, იტოვებს წარდგენილ დოკუმენტაციას და პირს გადასცემს საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთს. მონაწილის ბილეთით პირი იღებს საჯარო აუქციონში მონაწილის სტატუსს.

4<sup>1</sup>. საჯარო აუქციონში მონაწილეობის თაობაზე განცხადების მიღება მთავრდება დადგენილ დღესა და საათს. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ შესული განაცხადი არ მიიღება.

5. პირს უფლება აქვს ბეს/უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტიის დაუკავებლად უარი განაცხადოს საჯარო აუქციონში მონაწილეობაზე მხოლოდ განაცხადების მიღების პერიოდში.

6. განაცხადის წარმდგენ პირს შეიძლება უარი ეთქვას საჯარო აუქციონში მონაწილეობაზე, თუ:

ა) განაცხადის წარმდგენი პირი, კანონმდებლობის შესაბამისად, არ შეიძლება ცნობილ იქნეს სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებ პირად;

ბ) დარღვეულია „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით და ამ დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

7. საჯარო აუქციონი ტარდება დადგენილ დღესა და საათზე. საჯარო აუქციონში მონაწილეობის თაობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს საჯარო აუქციონის ჩატარების დღის ჩათვლით და სარგებლობის უფლებით გამცემი ორგანოს მიერ დადგენილ საათამდე.

*საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის დადგენილება №12 - ვებგვერდი, 24.01.2012წ.*

*საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის დადგენილება №382 - ვებგვერდი, 17.09.2012წ.*

#### **მუხლი 4. საჯარო აუქციონის ჩატარების წესი**

1. საჯარო აუქციონში მონაწილე საჯარო აუქციონის დაწყებამდე შედის დარბაზში, სადაც ტარდება საჯარო აუქციონი, საჯარო აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს მონაწილის ბილეთს და იღებს სპეციალურ დაფას, რომლის ნომერიც შეესაბამება მის ბილეთზე აღნიშნულ ნომერს.

2. აუქციონატორი ადარებს გაცემული ნომრიანი დაფების რაოდენობას რეგისტრირებული განაცხადების რაოდენობასთან, რითაც აზუსტებს საჯარო აუქციონში მონაწილეთა რაოდენობას.

3. საჯარო აუქციონს ატარებს აუქციონატორი.

4. თითოეულ ლოტზე ვაჭრობის დაწყებისას აუქციონატორი აცხადებს სახელმწიფო ქონების დასახელებას, საწყის სარგებლობაში გადაცემის საფასურს, ბიჯს (ყოველი

კონკრეტული სახელმწიფო ქონებისათვის ბიჯის სიდიდეს განსაზღვრავს სარგებლობის უფლებით გამცემი ორგანო).

5. საჯარო აუქციონზე ვაჭრობის დასაწყისად ითვლება საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასურის გამოცხადების მომენტი. ვაჭრობის მიმდინარეობის დროს დაუშვებელია მონაწილეთა დარბაზში გადაადგილება.

6. საჯარო აუქციონში მონაწილე, რომელსაც სურს საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასურიდან დაიწყოს ვაჭრობა, სწევს თავის დაფას (რაც ნიშნავს საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასურზე ბიჯის დამატებას), აუქციონატორი აფიქსირებს მას და სთხოვს საჯარო აუქციონში მონაწილეებს, გააგრძელონ ვაჭრობა, სანამ რომელიმე მონაწილე არ დაასახელებს ყველაზე მაღალ სარგებლობაში გადაცემის საფასურს. საფასურის სამჯერ გამოცხადებისა და აუქციონატორის მიერ ჩაქუჩის დარტყმის შემდეგ, უკანასკნელი მონაწილე, რომელმაც აუქციონატორს ყველაზე მაღალი სარგებლობაში გადაცემის საფასური შესთავაზა, ითვლება გამარჯვებულად.

7. თუ საჯარო აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლების მიღებით დაინტერესებული პირის ინიცირების საფუძველზე გამოცხადებულ აუქციონში მონაწილეები არ დარეგისტრირდნენ (არ წარმოადგინეს ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია), ინიციატორის მიერ მე-2 მუხლის 2<sup>1</sup> პუნქტის საფუძველზე წარდგენილი საგარანტიო თანხა სრულად ირიცხება შესაბამის ბიუჯეტში. თუ საჯარო აუქციონი არ შედგება იმ მიზეზით, რომ საჯარო აუქციონის მონაწილეები არ გამოცხადდებიან აუქციონზე, ან მონაწილეები, რომლებიც ესწრებიან საჯარო აუქციონს, არ მიიღებენ მონაწილეობას სააუქციონო ვაჭრობაში, შედგება ოქმი არშემდგარი საჯარო აუქციონის შესახებ და აუქციონის მონაწილეების მიერ წარდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხა ჩაირიცხება შესაბამის ბიუჯეტში (საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ქონების სააგენტოსათვის გადასახდელი თანხის გამოკლებით, ქონების სააგენტოს მიერ ჩატარებული აუქციონის შემთხვევაში), ხოლო თუ მონაწილის გამოუცხადებლობის ან/და დამსწრე მონაწილის მიერ სააუქციონო ვაჭრობაში მონაწილეობის მიუღებლობის მიუხედავად აუქციონი შედგება, მაშინ იმ მონაწილეს, რომელიც არ გამოცხადდა აუქციონზე ან/და დამსწრე მონაწილეს, რომელმაც სააუქციონო ვაჭრობაში არ მიიღო მონაწილეობა, უბრუნდება საბანკო გარანტია/ბე, აუქციონის დასრულებიდან 7 კალენდარულ დღეში. თუ სარგებლობის უფლების მიღებით დაინტერესებული პირის ინიცირების საფუძველზე გამოცხადებული აუქციონი შედგა ან არ შედგა, მაგრამ აუქციონში დარეგისტრირებული იყო ერთი მონაწილე მაინც, ინიციატორს მე-2 მუხლის 2<sup>1</sup> პუნქტით გათვალისწინებული საგარანტიო თანხა დაუბრუნდება აუქციონის დასრულებიდან არა უგვიანეს 7 კალენდარულ დღეში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული თანხა გამოყენებულ იქნა მე-2 მუხლის 2<sup>2</sup> პუნქტით გათვალისწინებული მიზნებისათვის. აუქციონში დამარცხებულ მონაწილეებს ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია დაუბრუნდებათ აუქციონის დასრულებიდან 7 კალენდარულ დღეში.

8. იმ შემთხვევაში, თუ სარგებლობის უფლებით გამცემმა ორგანომ გადაავადა საჯარო აუქციონის ჩატარება ან მის ჩატარებამდე გააუქმა საჯარო აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გაცემის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, საჯარო აუქციონში მონაწილეს გადახდილი ბეს თანხა უკან უბრუნდება.

9. საჯარო აუქციონის შედეგები უქმდება, გამარჯვებულ პირს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და გამარჯვებულის მიერ წარდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხა ირიცხება შესაბამის ბიუჯეტში (საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ქონების სააგენტოსათვის გადასახდელი თანხის გამოკლებით, ქონების სააგენტოს მიერ ჩატარებული აუქციონის შემთხვევაში), თუ:

ა) საჯარო აუქციონში გამარჯვებულმა უარი განაცხადა ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე;

ბ) საჯარო აუქციონში გამარჯვებულმა უარი განაცხადა საჯარო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერის თაობაზე;

გ) დაარღვია აუქციონში მონაწილეობის „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ დებულებით დადგენილი წესი ან/და პირობები.

10. საჯარო აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საჯარო აუქციონში გამარჯვებული პირი და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე. გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ხელმოწერა ითვლება გამარჯვებულის გამოვლენად.

11. სააუქციონო კომისია (შემდგომში – კომისია) საჯარო აუქციონის ჩატარებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში ამზადებს მოხსენებით ბარათს, რომლის საფუძველზეც საჯარო აუქციონში მონაწილე პირებს, რომლებმაც ვერ გაიმარჯვეს, უბრუნდებათ მათ მიერ გადახდილი ბეს თანხა. მოხსენებით ბარათს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.

*საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის დადგენილება №12 - ვებგვერდი, 24.01.2012წ.*

*საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის დადგენილება №382 - ვებგვერდი, 17.09.2012წ.*

### **მუხლი 5. გარიგებათა გაფორმების წესი**

1. საჯარო აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენიდან 15 კალენდარულ დღეში მხარეთა (სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გამცემ ორგანოსა და სახელმწიფო ქონების მიმღებს) შორის ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება საჯარო აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ.

2. სახელმწიფო ქონების საჯარო აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში გამარჯვებულ პირს შეტანილი ბე ითვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობაში გადაცემის საფასურის ოდენობაში საბოლოო ანგარიშსწორებისას.

3. მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებაში შეტანილი უნდა იქნეს შემდეგი მონაცემები:

ა) გადაცემული სახელმწიფო ქონების დასახელება;

ბ) ცნობები აღნიშნული სახელმწიფო ქონების გადამცემისა და მიმღები სუბიექტის შესახებ;

გ) სარგებლობაში გადაცემის საფასურის ოდენობა და მისი გადახდის პირობები;

დ) მხარეთა ურთიერთვალდებულებები სახელმწიფო ქონების შემდგომი გამოყენების შესახებ;

ე) საჯარო აუქციონის საფუძველზე გადასაცემი სახელმწიფო ქონების გადაცემის პირობები და ვადები;

ვ) სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვის ვალდებულება (უძრავი ქონების შემთხვევაში);

ზ) სხვა მონაცემები, გამოცხადებული საჯარო აუქციონისა და გასაფორმებელი ხელშეკრულების სპეციფიკის გათვალისწინებით.

4. ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ ხარჯებს დაფარავს სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები.

*საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის დადგენილება №12 - ვებგვერდი, 24.01.2012წ.*

*საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის დადგენილება №382 - ვებგვერდი, 17.09.2012წ.*

### **მუხლი 6. კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესი**

1. საჯარო აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გამცემი ორგანო საჯარო აუქციონის ორგანიზების მიზნით ქმნის მუდმივმოქმედ კომისიას, რომლის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, აუქციონატორი, რეგისტრატორი, კომისიის მდივანი და სხვა წევრები. კომისია დამოუკიდებელია მისი უფლებამოსილების

განხორციელებისას. ის სარგებლობის უფლებით გამცემი ორგანოს სახელით ადგენს საჯარო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმს.

2. კომისია შედგება სარგებლობის უფლებით გამცემი ორგანოს წარმომადგენლებისაგან.

3. კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისაგან. კომისიის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და სხვა წევრებს, რომელთა უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება ორი წლით, ნიშნავს სარგებლობის უფლებით გამცემი ორგანოს ხელმძღვანელი.

4. კომისიის საქმიანობას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – თავმჯდომარის მოადგილე ან, კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, კომისიის ერთ-ერთი წევრი.

5. კომისიის მუშაობის წესს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე. კომისია უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი, და გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, ხმების თანაბარი გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა. კომისიის სხდომები ტარდება საჯაროდ.

6. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები.

### **მუხლი 7. სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით**

მიმღების პასუხისმგებლობა

1. სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები ვალდებულია საჯარო აუქციონის ფორმით სარგებლობაში მიღებული სახელმწიფო ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და საჯარო აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გამცემის მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ინფორმაცია ხელშეკრულების მოთხოვნების შესრულების თაობაზე.

2. საჯარო აუქციონში გამარჯვებული პირი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ვალდებულია სარგებლობის უფლებით მიღებული უძრავი ნივთის სარგებლობის უფლება დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში.

3. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებს საჯარო აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გამცემთან შეთანხმების გარეშე არა აქვს უფლება, გადაცემული სახელმწიფო ქონება გასცეს სარგებლობის უფლებით, სხვაგვარად დატვირთოს ან განკარგოს. ამასთან, იგი პასუხისმგებელია მიღებული სახელმწიფო ქონების მოვლა-პატრონობისათვის.

4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაუცველობის შემთხვევაში სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები იღებს გაფრთხილებას წერილობითი ფორმით, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და ეკისრება შესაბამისი პირგასამტეხლო. პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება სააუქციონო ან/და სახელმწიფო პირობებიდან გამომდინარე შემდეგი წესით:

ა) სარგებლობაში გადაცემის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში გადაუხდელი თანხის 0,1% დარღვევის დღიდან, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

ბ) საინვესტიციო ვალდებულებათა შეუსრულებლობის (ასეთის არსებობისას) შემთხვევაში – დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0,1 პროცენტი დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

გ) სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით მიმღების მიერ სხვა სააუქციონო ან/და სახელმწიფო პირობების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულებით.

5. სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით მიმღების მიერ წარდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ზე გამოიყენება სარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის უზრუნველსაყოფად.

*საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის დადგენილება №12 - ვებგვერდი, 24.01.2012წ.*

*საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის დადგენილება №382 - ვებგვერდი, 17.09.2012წ.*